



საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 40 4

18/01/2018

**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ამომრჩევლის ხმის“ თავმჯდომარის
მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 32-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ცნობად იქნას მიღებული ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ამომრჩევლის ხმის“ თავმჯდომარის მოადგილედ კონსტანტინე ჩერქეზიას არჩევა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე